ხელშეკრულება № 27/05/4
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 27 მაისი 2014 წელი

საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV 30232110)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის თამარ ჟვანიას სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ესაბი" წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბაქანიძის სახით შემდგომში "მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 1 ერთეული მულტიფუნქციური ასლგადამღები აპარატი Xerox **D110 Copier/Printer/Scanner/ 110 ppm/ DADF 250 л./ Duplex/ 2GB RAM/ 80GB HDD/ Tray 1: 1100 л A4 216 gsm; Tray 2: 1600 л A4 216 gsm; Tray 3-4: 2x 550 л SRA3 216 gsm; Обх. Tray: 250 л SRA3 253 gsm /Max 500K Month. D110 Base Initialisation Kit. Licence Agreement. Cable. D5-Booklet/Finisher 2/4hole, HCS, Interface Module, Single Tray OHCF**, ხოლო შემსყიდველი საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამასად გადასცემს მიმწოდებელს მის საკუთრებაში არსებულ ასლგადამღებ აპარატს Xerox 4110.

2. საქონლის ღირებულება

2.1. მულტიფუნქციური ასლგადამღები აპარატის Xerox D110 ღირებულება შეადგენს 141 465 (ას ორმოცდაერთი ათას ოთხას სამოცდახუთი) ლარს.

2.2. ცესკოს ბალანსზე არსებული ჩასანაცვლებელი 1 ერთეული ასლგადამღები აპარატის Xerox 4110 - ის ღირებულება შეადგენს (ღირებულება მოცემულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" N002613614 დასკვნის საფუძველზე) 8 000 (რვა ათასი) ლარს (დანართი)

2.3. ასანაზღაურებელი ფასთასხვაობა შეადგენს 133 465 (ას ოცდაცამეტი ათას ოთხას სამოცდახუთი) ლარს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს მიწოდებული საქონლის მიხედვით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილია: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, ცესკოს შენობა

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და შეესაბამება არსებულ სტანდარტებს.

5.2. საქონელზე ვრცელდება 1 წლიანი საგარანტიო პერიოდი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიღების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.01% ოცი ეკვივალენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მათ;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: მ. მიქიაშვილი

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ``ფორს-მაჟორი`` ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ივლისამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შპს "ესაბი"**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 37 დ
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509	საიდენტიფიკაციო კოდი: 204378173
ტელ: (995 32) 2510051	ტელ: 2252900
სახელმწიფო ხაზინა	სს ,, პროკრედიტ ბანკი"
ანგ №200122900; კოდი: 220101222	კოდი: MIBGGE22 ა/ა GE30PC0053600100013098
თამარ ჟვანია	**გიორგი ბაქანიძე**
თავმჯდომარე	**დირექტორი**

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....

..... 5002292814 20

23/05/2014

5002292814

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2014 წლის 20 მაისის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1003103414) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N002613614 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი
ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

თბილისი 0162 ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600 მეხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
ბათუმი 6000 პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi, Georgia

002613614

ექსპერტის დასკვნა № 002613614

გაფრთხილება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ქვესტრუქტურა: -

დასახელება: -

თანამდებობა: თავმჯდომარე

მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ

სახელი და გვარი: თამარ ჟვანია

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

ლიკა ხუნაშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

"გთხოვთ, შეაფასოთ ცესკოს ბალანსზე რიცხული ტექნიკა, ექსპლუატაციაში მყოფი მოძველებული მოდელი ერთი ცალი ასლგადამღები აპარატი XEROX 4110."

შემოსვლის თარიღი: 20.05.2014წ

გასვლის თარიღი: 23.05.2014წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკუთრებაში არსებული ექსპლუატაციაში ნამყოფი ასლგადამღები აპარატის „XEROX 4110" საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 8000 ლარს.

ლიკა ხუნაშვილი

გამოკვლევა

[redacted]ზიტის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით - ექსპერტს ქ.თბილისში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო [redacted]ის შენობაში მათი წარმომადგენლის მიერ წარედგინა შესაფასებელი ობიექტი. კერძოდ ექსპლუატაციაში ნამყოფი

017

ასლგადამღები აპარატი „XEROX 4110", რომელიც ექპერტის მიერ გამოკვლეულ იქნა და ჩაუტარდა შესაბამისი სასაქონლო კველვა.

საქონლის საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებულიგარიგების საფუძველზე. საქონლის ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს ქონება გამყიდველისთვის/მყიდველისათვისუახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში. ექსპერტების მიერ საქონლის საბაზრო ღირებულება დადგენილია შედარების მეთოდით, რაც დაფუძნებულია შესაფასებელი ობიექტის მსგავსი გაყიდული ობიექტის ფასის შედარებაზე. ყურადღებაგამახვილებულია ანალოგიური მოძრავი ქონების ყიდვა გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკუთრებაში არსებული ექსპლუატაციაში ნამყოფი ასლგადამღები აპარატის „XEROX 4110" საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 8000 ლარს.

ლიკა ხუნაშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

002613614

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3



ფოტო 4